სკოლის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივის ფიზიკური მდგომარეობის განსაზღვრის (ჩამოწერის) მიზნით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის
აქტი №1

წყალტუბო სოფელი ზედა მესხეთი ბროწეულას საჯარო სკოლა 5 თებერვალი 2015წ.

მიმდინარე წლის 28 იანვარს სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტს სოფელ ზედა მესხეთის ბროწეულას საჯარო სკოლის 2015 წლის 22 იანვრის №2-12 ბრძანებით შექმნილი სკოლის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივის ფიზიკური მდგომარეობის განსაზღვრის (ჩამოწერის) მიზნით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის სხდომა.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერმმა კომისიამ შემადგენლობით:

1. კომისიის თავმჯდომარე: დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი — თამარ ხვადაგიანი
2. კომისიის წევრი — ბუღალტერი: — ნათელა სირაძე
3. კომისიის წევრი: — სამეურვეო საბჭოს წევრი: — ეკატერინე კალატოზი
4. კომისიის წევრი: — პედაგოგიური საბჭოს წევრი: — მერი გულიაშვილი
5. კომისიის წევრი: — წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი: — ალექსანდრე ფხაკაძე

წინამდებარე აქტი შედგა მასზედ, რომ სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მეხეთის ბროწეულას საჯარო სკოლაში შექმნილმა საინვენტარიზაციო კომისიამ მოახდინა სკოლის კუთვნილი ტერიტორიაზე არსებული №05 შენობა-ნაგებობის ფიზიკური დათვალიერება და შეფასება (შენობის განაშენიანების ფართობი შეადგენს 659 კვ.მ.) .

სკოლა-ინტერნატს გააჩნდა ბავშვთა საძინებელი კორპუსი, რომელიც წარმოადგენდა ოთხსართულიან შენობას. შენობა იყო კირქვისაგან ნაშენი და ტუფის ქვით მოპირკეთებული. იგი ექსპლუატაციაში შევიდა 1936 წელს და მასში განთავსებული იყო სამხედრო გარნიზონი 1957 წლამდე, ხოლო 1957 წლიდან გაიხსნა ბავშვთა სკოლა-ინტერნატი. შენობის საწყისი საბალანსო ღირებულება შეადგენდა 2193,00 ლარს, ხოლო ნარჩენი ღირებულებაა 499,00 ლარი.

1992 წლის დეკემბრის თვეში ძლიერმა სტიქიურმა მოვლენამ, კერძოდ დიდთოვლობამ გამოიწვია შენობის სახურავის ჩამონგრევა. ჩამონგრევის შედეგად დაზიანდა ელ. გაყვანილობა, რამაც გამოიწვია ხანძარი. დიდთოვლობისა და უგზოობის გამო ვერ მოხერხდა ხანძრის დროული ლოკალიზება, ამიტომ დაიწვა შენობის ძირითადი ნაწილი. 1992 წლიდან დღემდე შენობაზე არ განხორციელებულა კაპიტალური რემონტი, შენობა ინგრევა და იშლება, რაც გამოწვეულია ატმოსფერული ნალექების და ძლიერი ქარების ზემოქმედებისაგან. შენობის დანგრევის შედეგად დარჩენილია ერთი სართული და კიბის უჯრედის (სამი კედლი) ოთხი სართული,რომელიც ჩამოსხმულია რკინა-ბეტონისაგან. შენობის დანგრევისა და დაშლის პროცესი დღემდე გრძელდება, რაც საფრთხეს უქმნის მოსწავლეთა სიცოცხლესა და უსაფრთხოებას.

შექმნილმა კომისიამ დაადგინა: აუცილებლობას წარმოადგენს შენობა №05 დემონტაჟი. გარეგანი ფიზიკური დათვალიერების შედეგად ჩანს, რომ შენობაზე არის საამშენელო მასალები კერძოდ :სამი ფნჯრის რკინის გისოსი დაახლოებით 6კვ. სევე სავარაუდოთ კირქვა- 1500 ცალი, ტუფის ქვა-2000 ცალი. დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი საამშენებლო მასალები გამოუყენებელი იქნება მეორადი ექსპლუატაციისათვის.

აქტი სწორია და ვაწერთ ხელს:

კომისიის თავმჯდომარე: /თამარ ხვადაგიანი/

კომისიის წევრი: /ნათელა სირაძე /

/ეკატერინე კალატოზი/

/ მერი გულიაშვილი/

/ალექსანდრე ფხაკაძე/

აქტის სინამდვილეს გაცნობილია
დირექტორი: / შოთა კუბლაშვილი /